


2018



მასწავლებელთა დამოკიდებულებების კვლევა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა  
და უფლებების საკითხების სწავლების მიმართ

ონლაინ გამოკითხვისა და ფოკუს ჯგუფების ანალიზი

კვლევა მომზადებულია: ასოციაცია ”ჰერა XXI“-ს მიერ

კვლევის ხელმძღვანელი: ნ. წულეისკირი, დირექტორი

კვლევის კოორდინატორი: სალომე იოზაძე

კვლევის ასისტენტი: მაკა ჩილინგარაშვილი

კვლევის კონსულტანტი: ქეთევან ხუციშვილი

Copyright © 2018 ასოციაცია, ჰერა XXI”



მადლობა თითოეულ რესპონდენტს, რომელმაც კვლევაში მიიღო მონაწილეობა

# შინაარსი

შესავალი.....	3
კვლევის მიზანი და ამოცანები.....	4
კვლევის მეთოდოლოგია.....	4
კითხვარი.....	5
კვლევის შეზღუდვები.....	5
ძირითადი მიგნებები.....	5
რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.....	6
სპეციალიზაცია.....	6
სადამრიგებლო საათი.....	7
მოსწავლეებთან ჯანსაღი ცხოვრების წესის, რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის შესახებ საუბრის მიზნობრიობა.....	8
სწავლების ფორმები.....	9
არსებული გამოცდილება.....	10
ინფორმაციის მიღებისათვის შესაბამისი წყაროები.....	12
მასწავლებელთა ინფორმირებულობა.....	13
ფოკუს ჯგუფების ანალიზი.....	14
კვლევის მიზნები და მეთოდოლოგია.....	14
რას მოიცავს რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სწავლება.....	14
სადამრიგებლო საათის ფარგლებში რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე საუბარი.....	15
საჭიროა თუ არა სკოლაში ისწავლებოდეს რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ.....	16
კითხვები რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ.....	17
ჯანსაღი ცხოვრების წესისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების შესახებ სწავლების განხორციელების ფორმები.....	18
რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ სწავლების შესაფერისი ასაკი.....	19
რა ფორმით უნდა განხორციელდეს რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ სწავლება.....	20
ვიდეოს განხილვა.....	21
დასკვნა.....	22
გამოყენებული ლიტერატურა:.....	23

## შესავალი

საქართველოში არასრულწლოვნებს ხელი არ მიუწვდებათ რეპროდუქციული ჯანმრთელობის, სქესობრივი ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ინფორმაციაზე. ეს თავის მხრივ განაპირობებს მოზარდებში ადრეულ ქორწინებას და/ან იძულებით ქორწინებას, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელებას, დაუგეგმავ ორსულობას, არასრულწლოვნებში აბორტებს და სხვა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2016 წლის მონაცემებით გასულ წლებთან შედარებით საქართველოში ზოგად მოსახლეობაში გაზრდილია სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების რიცხვი, ისევე როგორც აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა რაოდენობა. ამავე მონაცემებით საქართველოში აბორტების რიცხვი 2012 წლის შემდგომ რეგრესირებს, თუმცა, მაჩვენებელი მაინც მაღალია. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის უახლესი 2017 წლის მონაცემების მიხედვით კი, გასულ წელს 15 წელს მიუღწეველ გოგონებში 5 ორსულობის ფაქტი, ხოლო 15-დან 19-წლამდე გოგონებში კი 3232 ორსულობის ფაქტი დაფიქსირდა. ამავე წელს 15-19 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში აბორტების რაოდენობამ 555 შეადგინა.<sup>1</sup>

ამ საკითხს ცალკე პარაგრაფი ეთმობა” ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში”. ამ ანგარიშის მიხედვით, 2015 წლის განმავლობაში 18 წელს მიუღწეველთა 611 ქორწინება დარეგისტრირდა. მათ შორის 578 არასრულწლოვანი გოგონა იყო<sup>2</sup>. ასევე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით, არასრულწლოვნებში აბორტის რეგისტრირებული მაჩვენებელი 2016 წლის მონაცემებით, 15 წლამდე ასაკის გოგონებში 19 , ხოლო 15-19 წლის ჩათვლით გოგონებში კი 932 შეადგინა<sup>3</sup>.

იმას რომ არასრულწლოვანთა ქორწინების და აბორტის მაღალ მაჩვენებელს განაპირობებს რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობა, ასოციაცია” ჰერა XXI-ის” სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის თანამშრომლობით (ISSA) 2016 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებიც მოწმობს. კვლევის საბოლოო ანგარიშის მიხედვით, საქართველოში მცხოვრები

---

<sup>1</sup> დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

<sup>2</sup> ადამიანის უფლებათა საბჭო, 32-ე სხდომა, ”ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ”; 6 ივნისი, 2016 წელი. მოძიებულია: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3867.pdf>

<sup>3</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016 წლის სტატისტიკური მონაცემები. მოძიებულია: [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=196&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=196&lang=geo)

ახალგაზრდები სოციალიზაციის პროცესს გადიან ისე, რომ ადეკვატური ინფორმაცია არ აქვთ სექსუალურ ცხოვრებასა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე<sup>4</sup>.

## კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში კერძო და საჯარო სკოლის მასწავლებლების დამოკიდებულებების შესწავლა რეპროდუქციული ჯანმრთელობის, სქესობრივი ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების სწავლების მიმართ.

მიზნიდან გამომდინარე გამოიკვეთა შემდეგი ამოცანები:

მასწავლებლების მიერ რეპროდუქციული ჯანმრთელობის, სქესობრივი ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ინფორმირებულობის განსაზღვრა;

მასწავლებლების მიერ აღნიშნულ საკითხებზე მომზადება-გადამზადების საჭიროების განსაზღვრა;

სასკოლო სივრცეში რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან და უფლებებთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირების მიმართ დამოკიდებულების განსაზღვრა;

## კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდად არჩეული იქნა რაოდენობრივი კვლევა. გამოკითხვის ტიპი - ონლაინ გამოკითხვა. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ საქართველოს საჯარო თუ კერძო სკოლების მასწავლებლები. შერჩევის ზომა წარმოადგენს 541 რესპონდენტს. შერჩევის მეთოდად კი გამოყენებულია შემთხვევითი შერჩევის პრინციპი.

---

<sup>4</sup> ასოციაცია "ჰერა XXI", "ახალგაზრდების ცხოვრებისეული გამოცდილება სქესისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის თვალსაზრისით", 2017; მოძიებულია: <http://en.calameo.com/read/00411002196b9f20b01aa>

## კითხვარი

რაოდენობრივი კვლევის კითხვარი შემუშავდა "ჰერა XXI-ს" მიერ, რომელსაც წინ უძღოდა შესაბამის სამიზნე ჯგუფთან ფოკუს ჯგუფების ჩატარება. კითხვარი შედგება ათი ნახევრად დახურული და დახურული შეკითხვისაგან. კითხვარის ბოლოს დართული იყო ველი, სადაც სურვილის შემთხვევაში მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ მიეთითებინათ საკუთარი ელექტრონული ფოსტა, რათა გაცნობოდნენ კვლევის შედეგებს.

## კვლევის შეზღუდვები


კვლევის შედეგების განზოგადებისას გასათვალისწინებელია, რომ შერჩევა განხორციელდა ალბათური შერჩევის პრინციპით და გამოკითხვაში მონაწილეობის საშუალება არ ჰქონდათ იმ მასწავლებლებს, რომლებიც არ არიან ინტერნეტის მომხმარებლები.

## ძირითადი მიგნებები

- მასწავლებელთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აუცილებელია მოსწავლეთა ინფორმირება რეპროდუქციული ჯანმრთელობის, სქესობრივი ჯანმრთელობის და უფლებების შესახებ. სწავლების დაწყების ასაკად უმრავლესობა მიზანშეწონილად მიიჩნევს 13-14 წლის ასაკობრივ პერიოდს.
- რესპონდენტების უმეტესობა მიიჩნევს, რომ მოსწავლეთა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ სწავლება უნდა განხორციელდეს ბიოლოგიის გაკვეთილებსა და სადამრიგებლო საათის ფარგლებში.
- რესპონდენტების აზრით, სკოლა და ოჯახი არის ორი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი, რომელიც ვალდებულია ზრუნავდეს ბავშვების ინფორმირებულობაზე რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ.
- რესპონდენტების აზრით, მასწავლებლები ასევე საჭიროებენ მომზადება-გადამზადებას რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ, ხოლო ამის განხორციელების საუკეთესო გზად რესპონდენტთა უმრავლესობას თემატური მეთოდოლოგიური ტრენინგები და არაფორმალური შეხვედრა-დისკუსიები მიაჩნია.


# რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

## სპეციალიზაცია



ონლაინ გამოკითხვაში მონაწილე მასწავლებლებიდან ჭარბობდნენ ქართული ენის დაწყებითი განათლების მქონე, და მათემატიკისა მასწავლებლები. გამოკითხვაში მონაწილეობა ასევე მიიღეს საბუნებისმეტყველო საგნების, უცხო ენის, ისტორიის, სპორტის, მუსიკის, ხელოვნებისა და ჭადრაკის მასწავლებლებმა. ასევე სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა.


## სადამრიგებლო საათი



გამოკითხული მასწავლებლებიდან 51 პროცენტს ჰქონდა სადამრიგებლო საათი.




მოსწავლეებთან ჯანსაღი ცხოვრების წესის, რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის შესახებ საუბრის მიზნობრიობა




კითხვაზე საჭიროა თუ არა მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბროს ჯანსაღი ცხოვრების წესის, რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის შესახებ, პასუხების უმეტესობა - 97 % დადებითი იყო. მხოლოდ 3 %-მა მიიჩნია, რომ მასწავლებელი მოსწავლეებთან აღნიშნულ საკითხებს არ უნდა შეეხოს. რაც შეეხება რეპროდუქციულ და სქესობრივ ჯანმრთელობაზე საუბრის დაწყებისას მოსწავლეების ასაკს, რესპონდენტების უმეტესობამ 32 %-მა მიიჩნია, რომ შესაფერისი ასაკი 13-14 წელია. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა ნაწილი - 16 % მიიჩნევს, რომ შესაძლოა 7-8 წლის ასაკიდანაც მოსწავლეებთან აღნიშნულ თემებზე საუბარი.

## სწავლების ფორმები



გამოკითხვაში მონაწილე მასწავლებელთა უმრავლესობის აზრით, ჯანსაღი ცხოვრების წესის, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ მოსწავლეთა ინფორმირების საუკეთესო სივრცე სადამრიგებლო საათებია. ასევე რესპონდენტთა დიდი ნაწილი - 33 % თვლის, რომ აღნიშნული თემების ინტეგრირება უნდა ხდებოდეს ბიოლოგიის გაკვეთილებზე. მასწავლებელთა მცირე ნაწილის აზრით, რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები სავალდებულო საგნად უნდა დაემატოს. გამოკითხვის ფორმატიდან გამომდინარე, რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ თავად დაესახელებინათ დამატებითი ფორმატი, სადაც მოხდება მოსწავლეთა ინფორმირებულობა. მიღებული პასუხებიდან გამომდინარე, ასეთ სივრცედ ქართულის გაკვეთილები და ასევე სხვადასხვა საგნის ფარგლებში სფეროს სპეციალისტების მოწვევა მიაჩნიათ.


## არსებული გამოცდილება



კითხვაზე დაუსვამს თუ არა მოსწავლეს კითხვა ჯანსაღი ცხოვრების წესის, რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ, მასწავლებელთა 22 % ამბობს, რომ დაუსვამს.


## თავად ესაუბრებით თუ არა მოსწავლეებს ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე

■ დიახ ■ არა




კითხვაზე თავად ესაუბრებიან თუ არა მოსწავლეებს რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ მასწავლებელთა 51 % ამბობს, რომ ესაუბრება.

ინფორმაციის მიღებისათვის შესაბამისი წყაროები



გამოკითხვაში მონაწილე მასწავლებელთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ბავშვის ინფორმირებულობაზე რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ პასუხისმგებელი ისეთი ორი ინსტიტუტია, როგორცაა ოჯახი და სკოლა. პროცენტული რაოდენობა შესაბამისად გადანაწილდა : 27 % და 25 %. რესპონდენტთა აზრით, ამ კუთხით ინფორმაციის მიწოდება სასურველი იქნებოდა ფსიქოლოგის ან სამედიცინო დაწესებულების მიერ. ხმათა ყველაზე დაბალი პროცენტული რაოდენობა მიიღო მასმედიისა და ინტერნეტის საშუალებით შესაბამისი ინფორმაციის მიღებამ.

## მასწავლებელთა ინფორმირებულობა



მასწავლებელთა უმრავლესობა - 95 % მიიჩნევს, რომ მასწავლებლები საჭიროებენ ცნობიერების ამაღლებას რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების სწავლების მეთოდებზე. კითხვაზე თუ რა ფორმით იქნებოდა სასურველი აღნიშნული მეთოდოლოგიური ინსტრუქტაჟის ჩატარება, მასწავლებელთა უმეტესობა - 44 % თვლის, რომ უნდა ჩატარდეს თემატური ტრენინგები. ასევე დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ არაფორმალური შეხვედრებითა და დისკუსიებითაც შესაძლებელია მასწავლებელთა გადამზადება.

## ფოკუს ჯგუფების ანალიზი

### კვლევის მიზნები და მეთოდოლოგია

ასოციაცია ჰერა XXI-ის მიერ 2017 წლის ნოემბერსა და 2018 წლის თებერვალში ჩატარდა სამი ფოკუს ჯგუფი საქართველოს სამ სხვადასხვა რეგიონში: ადიგენში, ხობსა და ახალციხეში. ფოკუს ჯგუფების ჩატარების მიზანს წარმოადგენდა ერთი მხრივ, რაოდენობრივი კითხვარისათვის კითხვარის შემუშავება მეორე მხრივ, ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა დამოკიდებულებების გამოვლენა და შესწავლა შესაბამისი კვლევის ინსტრუმენტების - ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარისა და ვიდეო ქეისის ჩვენების მეშვეობით.

ფოკუს ჯგუფებში უმეტესად მონაწილეობდნენ საჯარო სკოლის მასწავლებლები, არაფორმალურ განათლების სფეროში მომუშავე პირები, ადგილობრივი თვითმმართველობის დარგობრივი თანამშრომლები და ოჯახის ექიმი. თითოეულ ფოკუს ჯგუფს ესწრებოდა 8 მონაწილე.

ადიგენის მუნიციპალიტეტში ფოკუს ჯგუფი ჩატარდა სოფელ არლის საჯარო სკოლაში. ახალციხეში - ახალციხის ახალგაზრდულ ცენტრში. ხობის მუნიციპალიტეტში - სოფელ პირველი მაისის ახალგაზრდულ ცენტრში.

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე მასწავლებელთაგან უმეტესობას ჰყავდა სადამრიგებლო კლასი.

### რას მოიცავს რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სწავლება

ფასილიტატორების მიერ კვლევის ამოცანებისა და ორგანიზაციის გაცნობის შემდგომ პირველი შეკითხვა შეეხებოდა იმას, თუ მონაწილეთა აზრით, რას მოიცავდა ჯანსაღი ცხოვრების წესისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ სწავლება. მონაწილეებმა თავი შეიკავეს აღნიშნული ცნების განმარტებისაგან, თუმცა, სხვადასხვა რამ დაასახელეს მაგალითების სახით. მონაწილეთა ნაწილის აზრით, რეპროდუქციული სწავლება შეეხება ქალის რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და გამრავლების შესახებ სწავლებას, ხოლო ნაწილის აზრით ეს უფრო ფართო ცნებაა და გულისხმობს ზოგადად

ჯანსაღი ცხოვრების წესის სწავლებას და გადაჯაჭვულია ადამიანის უფლებასთან, ჰქონდეს ცოდნა რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ.

*„ძალიან ფართოა ყველაფერს მოიცავს. განყოფიერებით დაწყებული სხეულის ჰიგიენით დამთავრებული.“*

*„ჩემი აზრით არა მხოლოდ კონკრეტულ საკითხებს, არამედ ამ საკითხების ცოდნის უფლებას. ანუ უფლებას, ვიცოდე რა არის ჩემი როგორც მოქალაქის რეპროდუქციული კუთხით“.*

ასევე მონაწილეთა ნაწილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად საკითხის მიმართ დიდი ინტერესისა, არ გააჩნიათ შესაბამისი ინფორმაცია რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ, შესაბამისად მისი სწავლების პროცესის მიმართაც არ აქვთ მკაფიო პოზიცია ჩამოყალიბებული.

*„სამწუხაროდ ეს თემა ჩემთვის ცოტა უცხო და ახალია და ვერ განვმარტავ მაგრამ საინტერესოა ნამდვილად.“*

### სადამრიგებლო საათის ფარგლებში რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე საუბარი

როგორც შესავალში აღინიშნა, ფოკუს ჯგუფებში მონაწილე მასწავლებლებიდან უმეტესობას ჰქონდა სადამრიგებლო საათი. შესაბამისად ფასილიტატორების მიერ დაისვა შეკითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად ეხებიან რეპროდუქციული ჯანმრთელობის თემას მასწავლებლები და მოსწავლეები სადამრიგებლო საათის ფარგლებში. მიღებული პასუხებიდან გამომდინარე, აღმოჩნდა, რომ დამრიგებლები საკუთარი ინიციატივით არასოდეს იწყებენ საუბარს აღნიშნული საკითხების შესახებ, შესაბამისად სწავლების პროცესიდან არც შესაბამისი დრო აქვთ გამოყოფილი.

მონაწილეთა აზრით, რეპროდუქციულ უფლებებთან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები მეტწილად ბიოლოგიის ან სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე განსახილველი თემებია ბავშვების დაინტერესების შემთხვევაში. თუმცა, რამდენიმე მონაწილე აღნიშნავს, რომ საკითხის მიმართ მოსწავლეების მხრიდან ინტერესი არსებობს, მაგრამ ამაზე საუბარი ეუხერხულებათ, შესაბამისად ირიბად მეტწილად ეხებიან ხოლმე რეპროდუქციის საკითხსაც.

*„ჩვენ შეფარვით ვეხებით ხოლმე ამ საკითხებს. პირდაპირ საუბარი ეუხერხულებათ.“- აღნიშნავს მასწავლებელი.*



ასევე აღნიშნავენ, რომ სახელდება როგორც რეპროდუქციული ჯანმრთელობა პრობლემურია და თუ რამე კითხვა ჩნდება ამ თემის გარშემო, ცდილობენ სახელდების გარეშე განიხილონ.

*„ესე კონკრეტულად ამ დასახელებით არა მაგრამ თუ მოსწავლე გაკვეთილის ან შესვენების დროს ასეთ კითხვებს დასვამს სადამრიგებლო საათის დროს ვესაუბრები რა თქმა უნდა.“*

საჭიროა თუ არა სკოლაში ისწავლებოდეს რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ?

კითხვაზე, საჭიროა თუ არა სასკოლო სივრცეში რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ სწავლების შეტანა, ფოკუს ჯგუფის ყველა მონაწილე აღნიშნავს, რომ არა თუ საჭირო, არამედ აუცილებელიცაა. მონაწილეები აუცილებლობას ხედავენ რამდენიმე მიზეზით. პირველი, თვლიან რომ ამგვარად ბავშვები მეტად იქნებიან დაცული ძალადობისგან. ერთი მხრივ, ფიზიკური ძალადობისგან მეორე მხრივ, არასწორი საინფორმაციო ველისგან მიღებული დამახინჯებული ინფორმაციისგან.

*„დღეს იმდენი ცუდი რამე ხდება, რომ ალბათ ჯობია ისწავლებოდეს. ასე ბავშვები უფრო დაცული იქნებიან. ის მაინც ეცოდინებათ, რა არის სწორი ქცევა და რა არა, და თუ უცხოს მარტივად რო არ უნდა ენდონ.“*

*„ხო მართლაც როგორ მომრავლდა ბავშვებზე გაუპატიურებები. საჭიროა ნამდვილად.“*

*„ჩემი აზრით, აუცილებელია სკოლიდან იღებდეს ბავშვი ასეთ თემებზე ინფორმაციას. სწორედ იმიტომ, რომ ინტერნეტითა და ტელევიზიით ათას რამეს ისმენენ, აუცილებელია ვიღაცამ სწორი ინფორმაცია უთხრას. და მასწავლებელი ასე თუ ისე მაინც ავტორიტეტია ბავშვისთვის და ქვეცნობიერად სულ ცდილობს მიბაძოს მაინც.“*

რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ სწავლების მნიშვნელობაზე საუბრისას, მონაწილეთა ნაწილი ასევე აღნიშნავს, არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობას, არამედ ადეკვატური უკუკავშირის მიცემასაც საჭიროების შემთხვევაში, რაც შესაძლოა ინტერნეტში მოძიებულმა მასალამ, თანატოლმა და მშობელმა ვერ უზრუნველყონ.

*„დღეს ბავშვი ათასნაირ ინფორმაციას ისმენს და იგებს მეგობრებისგან, ინტერნეტით, ტელევიზიით. შეიძლება რაღაცეები არასწორადაც გაიგოს ან კითხვები გაუჩნდეს.“*

ამიტომ აუცილებელია სკოლაში ისწავლებოდეს ესენი, ან კითხვის დასმის შესაძლებლობაც ჰქონდეს.“

## კითხვები რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ ფოკუს ჯგუფებში მონაწილე მასწავლებლები მიზანმიმართულად და პირდაპირ ნაკლებად ეხებიან აღნიშნული თემების შესახებ საუბარს, აღმოჩნდა რომ მოსწავლეთა ნაწილი ხშირად გამოხატავს ინტერესს და სვამს კიდევაც კითხვებს. აღსანიშნავია, რომ რეპროდუქციული საკითხების შესახებ კითხვები მოსწავლეებს უჩნდებათ სწავლების როგორც დაბალ ასევე მაღალ საფეხურზე. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს:

*„მე დამისვა პირველკლასელმა ბავშვმა. დედამისი მეორეზე იყო ორსულად და ეტყობა ბავშვს უთხრა მუცელში დაიკო გყავსო. მე მკითხა, რატომ შეჭამა ჩემი დაიკო დედიკომო. ვეცადე ბავშვურად ამეხსნა, რომ მისი დაიკო ჯერ ძალიან პატარაა და გარეთ შეცივდება ამიტომ დედიკოს მუცელში უფრო თბილადაა-თქო. არვიცი რამდენად სწორად ვუთხარი. საკმაოდ გამირთულდა პასუხის მოფიქრება, ვაღიარებ“*

კიდევ ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ მისთვის არ არის კომფორტული უპასუხოს ბავშვის შეკითხვებს, რომლებიც ირიბად მაინც ეხება რეპროდუქციულ საკითხებს და/ან ურთიერთობებს:

*„მე მაგალითად რაღაცნაირად მეუბერხულება მოსწავლეებთან ნებისმიერ ესეთ თემებზე საუბარი. ერთმა მესამე კლასელმა გოგონამ მოულოდნელად მკითხა, თქვენ და თქვენ ქმარს გიყვარდათ ერთმანეთი, რომ დაქორწინდითო. ძალიან მოულოდნელი იყო და სიმართლე გითხრათ, დავიბენი. არ ვიცოდი რა მეპასუხა... კიდევ მკითხა, როგორ ავიხსნათ სიყვარულიო. მე ვუთხარი შესვენებაზე გეტყვითქო. ერთი სული მქონდა როდის გავიდოდი კლასიდან. როგორც კი ზარი დაირეკა მაშინვე გავედი. იმის მერე რამდენიმეჯერ სხვა კლასელებმაც შემახსენეს რომ მეპასუხა ამ კითხვაზე. სულ თავს ვარიდებ. ახლა შევპირდი სემესტრი რომ დამთავრდება მოგიყვებითქო და სულმოუთქმელად ელიან. სიმართლე გითხრათ, არვიცი ასეთ დროს რა უნდა ვუპასუხო და როგორ მოვიქცე. ძალიან დავიბენი თან მეუბერხულება. ჩემს ბავშვობაში არც მოგვაფიქრებოდა ასეთი კითხვები.“*

რაც შეეხება უფროსი კლასის მოსწავლეებს, მათთან დაკავშირებით მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ დაინტერესება უფრო მეტად ბიჭების მხრიდან მოდის და ძირითადად აინტერესებთ სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისა და ორსულობის შესახებ.

*„მე უფრო მაღალ კლასებში მეკითხებიან ძირითადად ბიჭები. რეპროდუქციაზე უხარიათ როცა ვესაუბრები და ყველა ფრაზას რამდენიმეჯერ მამოვრებინებენ. გოგოებს როგორც წესი რცხვენიათ. ერთმა მკითხრა 18 წლამდე თუ დაორსულდება ადამიანი, ბავშვი ჯანმრთელი იბადება თუ არაო. სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებიც განვიხილეთ. „*

კიდევ ერთი საინტერესო ასპექტი არის ლიტერატურის განხილვა რეპროდუქციულ ჭრილში. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ როცა ლიტერატურული სიუჟეტი შეეხება მსგავს თემებს, დაინტერესება მოსწავლეების მხრიდან ყოველთვის მაღალია.

*„ონისეს და ძიძიას შემთხვევაში ცხარე კამათიც იყო, რამდენად მორალური იყო მათი საქციელი. ერთმა მოსწავლემ იკითხა, წინა საუკუნეებში მწერლები და პოეტები თამამ სიუჟეტებს რომ წერდნენ, როგორი იყო საზოგადოების რეაქციაო.“*

ფოკუს ჯგუფში მონაწილეთა ნაწილი ასევე აღნიშნავს, რომ ბავშვების მხრიდან დიდია დაინტერესება ადრეული ქორწინების შესახებ და ძალიან მნიშვნელოვანია ამ თემის განხილვა უფლებრივ და ჯანმრთელობის ჭრილში.

ჯანსაღი ცხოვრების წესისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების შესახებ სწავლების განხორციელების ფორმები

მას შემდეგ რაც ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობამ დააფიქსირა პოზიცია, რომ სასკოლო სივრცეში რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შეტანა აუცილებლობას წარმოადგენს. მონაწილეებმა იმსჯელეს იმის შესახებ თუ რა ფორმით და რომელ საგანზე უნდა მოხდეს ამ საკითხების ინტეგრირება.

მიღებული პასუხები მრავალფეროვანია. ნაწილის აზრით, აღნიშნული თემების მეტად ინტენსიური განხილვა უნდა მოხდეს ბიოლოგიის გაკვეთილებზე, რომლებიც ნაწილობრივ ისედაც ფარავს და/ან უნდა ფარავდეს რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ თემებსაც.

მონაწილეთა ნაწილის მოსაზრებით, სამოქალაქო განათლების გაკვეთილები ამ თემებზე სასაუბროდ საუკეთესო სივრცეა, ვინაიდან რეპროდუქციული ჯანმრთელობა გადაჯაჭვულია ასევე რეპროდუქციულ უფლებებთან. ხოლო ნაწილის აზრით, ამ საკითხებს ცალკე გაკვეთილი უნდა ეთმობოდეს, ვინაიდან მკაფიოდ იყოს განსაზღვრული სწავლების მიზნები და მეთოდოლოგია.

*„მე ვფიქრობ რომ ცალკე საგნად ისწავლებოდეს სექსუალური განათლება. ჩემი ძმის შვილი სწავლობდა ესპანეთში. არაფერი ცუდი მისთვის არ უსწავლებიათ. პირიქით, იცის, რა საფრთხეს შეიცავს ადრეულ ასაკში დაუცველი სექსი. ნაადრევი ქორწინებები სწორედ იმიტომ ხდება, რომ სკოლებში სექსუალური განათლება არ გვაქვს. „*

მონაწილეები ასევე აღნიშნავენ დამრიგებლების მზაობის მნიშვნელობას, რათა მათ ჰქონდეთ საჭირო შინაარსობრივი ცოდნა და მოსწავლეთათვის ასაკის შესაბამისად ადეკვატურად მიწოდების უნარი.

### რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ სწავლების შესაფერისი ასაკი

ფოკუს ჯგუფებში მონაწილეთა მოსაზრებები ორ ნაწილად გაიყო იმის შესახებ თუ რომელი ასაკიდანაა რეკომენდირებული მოსწავლეებისათვის რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობისა თუ უფლებების შესახებ საუბარი. ერთი ნაწილის მოსაზრებით, ეს უნდა მოხდეს გარდატეხის ასაკიდან, რომლადაც 13-14 წელს მიიჩნევენ. ხოლო მეორე ნაწილი თვლის, რომ სწავლება შესაძლოა გაცილებით პატარა ასაკიდან დაიწყოს, ვინაიდან ბავშვებს ჯერ კიდევ პრეპუბერტატულ ასაკში უჩნდებათ ინტერესი და ეს ინტერესი რჩება შესაბამისი პასუხების გარეშე. ერთ-ერთი მონაწილე იხსენებს ასეთ შემთხვევას პირადი გამოცდილებიდან:

*“ჩემმა უმცროსმა შვილიშვილმა რამდენიმეჯერ მკითხა ბავშვები საიდან ჩნდებიანო. არ ვუპასუხე და სხვა რამეზე გადავიტანე ყურადღება. მერე კრუხთან ვიყავი (სიცილი) მოგეხსენებათ, სოფელში ყველას გვყავს შინაური ფრინველები. ბავშვმა უყურა წიწილების გამოჩეკას. რამდენიმე დღის მერე თვითონ მითხრა ბებო მე უკვე ვიცი როგორ ჩნდებიან ბავშვებიო. როგორთქო და როგორც კრუხი დებს კვერცხებს და იჩეკება წიწილები ასევე დადო დედიკომ ეტყობა კვერცხი და გამოვიჩეკე მეო. გულიანად ვიცინე. აქედანაც ჩანს რომ ძალიან ადრე იწყებენ ბავშვები ამ თემებზე ფიქრს. თავის ფანტაზიასაც რთავენ.“*

ასაკზე მსჯელობისას, კიდევ ერთი საინტერესო ასპექტი გამოიკვეთა. მონაწილეთა ნაწილი თვლის, რომ თუკი შესაბამისი ცოდნის პროფესიონალი მიაწვდის ბავშვებს ინფორმაციას, ეს ნებისმიერ ასაკში შეიძლება რომ მოხდეს.

*„ასაკზე მეტად მნიშვნელოვანია, რომ ასწავლონ პროფესიონალებმა. შესაძლოა, ამისთვის ცალკე კადრების აყვანაც გახდეს საჭირო. ან ბიოლოგიის პედაგოგები გადამზადდნენ. „*

*„ასაკით ნებისმიერ ასაკის ბავშვს შეიძლება ვასწავლოთ, თუ ასაკის შესაფერის ინფორმაციას მივცემთ.“*

რა ფორმით უნდა განხორციელდეს რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ სწავლება

კითხვაზე თუ რა ფორმით უნდა განხორციელდეს რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ სწავლება სკოლებში, რესპონდენტების უმეტესობა თვლის, რომ სასურველი იქნებოდა ამ თემებზე არაფორმალური განათლების ფორმატში საუბარი, რომელსაც შესაბამისი კვალიფიკაციისა და განათლების მქონე სპეციალისტები წარმართავენ. ამის მაგალითად ერთ-ერთმა რესპონდენტმა მოიშველია არსებული გამოცდილება, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მოსწავლეებთან გამართეს თემატური დისკუსიები.

*„სხვათა შორის ჩვენთან რამდენიმეჯერ იყვნენ ვორლდ ვიუენის და თქვენი წარმომადგენლები და ძალიან საინტერესო შეხვედრები გამართეს. თუ ესეთი შეხვედრები ბევრი იქნება აღარც ცალკე სწავლების საჭიროება იქნება.“*

რესპონდენტების უმეტესობის მოსაზრებით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სპეციალისტის მომზადებას, რათა მან შეძლოს სწორი კომუნიკაციის წარმართვა და სწორი გზავნილების გადაცემა მოსწავლეთათვის.

## ვიდეოს განხილვა

ფასილიტატორების მიერ ფოკუს ჯგუფების მსვლელობისას ნაჩვენები იყო შემდეგი ვიდეოები: ჰერა XXI-ის მიერ მომზადებული ვიდეორგოლი „როგორ ვესაუბროთ გოგონას გარდატეხის ასაკში“<sup>5</sup> და „როგორ ვესაუბროთ ბიჭს გარდატეხის ასაკში“<sup>6</sup> რესპონდენტების უმეტესობამ დადებითი ემოცია გამოხატა ვიდეორგოლის კონტენტისა და ფორმატის მიმართ. მათი აზრით, მსგავსი მოკლე ანიმაციური ვიდეო სახალისოცაა და ინფორმატიულიც. ამავდროულად გასაგებია როგორც მოზარდებისათვის ისე დიდებისთვის. განხილვისას რამდენიმე მასწავლებელმა, გაიხსენა პირადი მაგალითები, როცა მოსწავლეები აბსოლუტურად მოუმზადებლები ხვდებიან ამ დროს სხეულში მიმდინარე ცვლილებებს, რაც მათთვის დიდი ფსიქოლოგიური ზიანის მომტანია. *„ამაზე გამახსენდა რამდენიმე წლის წინ ჩვენთან სკოლაში 10 წლის გოგონას მოუვიდა მენსტრუაცია. გოგონამ არ იცოდა არაფერი მანამდე ამ საკითხზე. ისედაც შეშინებულს ჯგუფმაც დასცინა და ძალიან დიდი სტრესი გადაიტანა.“*

გამოითქვა მოსაზრება, რომ უხერხულობის დასაძლევად სასურველი იქნებოდა გოგონებს და ბიჭებს ცალ-ცალკე უტარდებოდეთ საინფორმაციო შეხვედრები რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის შესახებ. ამ მოსაზრების საპირისპიროდ კი ითქვა, რომ ისედაც გენდერული სტერეოტიპებით გაჟღერებული გარემოში, ამგვარი დიფერენციაცია კიდევ უფრო გააღრმავებს გაუცხოების განცდას გოგონებსა და ბიჭებს შორის და სტერეოტიპების გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

---

<sup>5</sup> <https://www.youtube.com/watch?v=GJFuWb7wOwA&t=5s>

<sup>6</sup> [https://www.youtube.com/watch?v=aJFs\\_89GC28](https://www.youtube.com/watch?v=aJFs_89GC28)

## დასკვნა

ასოციაცია „ჰერა XXI-ს“ მიერ ჩატარებული კვლევის, როგორც რაოდენობრივი ისე თვისებრივი ნაწილის ანალიზიდან გამოიკვეთა, რომ საქართველოში მცხოვრები და მომუშავე მასწავლებლები რეპროდუქციული ჯანმრთელობის, სქესობრივი ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას მხარს უჭერენ როგორც მასწავლებლებში, ისე მოსწავლეებში. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ პირველ რიგში უნდა განხორციელდეს მასწავლებელთა ცნობიერების ასამაღლებელი სამუშაო და მათი გადამზადება მეთოდოლოგიური კუთხით, რათა საჭიროებისამებრ შეძლონ მოსწავლეებთან შესაბამის თემებზე საუბარი და მოსწავლეთა სწორი ინფორმაციით ასაკის შესაბამისი ფორმით უზრუნველყოფა. მასწავლებელთა სწავლების ფორმათაგან გამოიკვეთა, რომ რესპონდენტების უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს შესაბამისი მეთოდოლოგიური ფორმატით ტრენინგების ჩატარებას და ასევე არაფორმალური შეხვედრა-დისკუსიებით სწავლებას. რესპონდენტთა უმეტესობის მოსაზრებით, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ინტეგრირება სასკოლო სივრცეში ხელს შეუწყობს ბავშვთა მიმართ ძალადობის, ადრეული ქორწინების, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისა და არასასურველი ორსულობის პრევენციას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

”ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში”, 32-ე სხდომა. საქართველოს სახალხო დამცველი. 2016. მოძიებულია:

<http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3867.pdf>

გენდერული სტატისტიკა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოძიებულია:

[http://www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/genderuli%20statistika.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/genderuli%20statistika.pdf)

ასოციაცია ”ჰერა XXI”, “ახალგაზრდების ცხოვრებისეული გამოცდილება სექსისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის თვალსაზრისით”, 2017. მოძიებულია:

<http://en.calameo.com/read/00411002196b9f20b01aa>

ასოციაცია ”ჰერა XXI”, მშობლების დამოკიდებულებებისა და საჭიროებების კვლევა, 2017, მოძიებულია: <http://hera-youth.ge>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: 2016 წლის სტატისტიკური ინფორმაცია. მოძიებულია: [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=196&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=196&lang=geo)

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი